ეროვნული ბიბლიოთეკა

73

№ 173
აგვისტოს 15, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 173
აგვისტოს 15, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულის გამო შემდეგი № გამოვა შაბათს, 17 აგვისტოს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 12 ამა აგვისტოს გარდაიცვალა დრამატურგი და დრამატ. საზოგადოების საპატიო წევრი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდები ყოველ-დღე: საღამოს 7 საათზედ განსვენებულის სადგომში, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა. გამოსვენება დანიშნულია კვირას, 18-ს აგვისტოს. (2—2)

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა და **ივანე და გიორგი ანტონის ძენი ცაგარლები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას, მეორენი ძმისას

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლისას.

სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდებზე 12 საათზე დილით და საღამოს 8 საათზედ, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა, მიცვალებულს გამოასვენებენ დასაკრძალავად კვირას, 18 აგვისტოს.

ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველი სექცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ნიჭიერის დრამატურგისა და სახალხო თეატრის ერთგულ მუშაკის

ა. ა. ცაგარლის

გარდაცვალებას.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუჴჰალტერო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—19)

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2 664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადაც პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

[illegible] და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—14)

ფოთის ქალაქის მმართველობა ამით აცხადებს იმათ საყურადღებოთ, ვინც შემოიტანა უკანასკნელად შესწორებული ამომრჩეველთა სიები, რომ **ხმოსანთა ამოსარჩევი კრება** ოთხი წლით ხმოსანთა ამოსარჩევად 1902—1903 წ. წ. დანიშნულია 8 **სექტემბერს** 1902 წ. დილის 9 საათზე ფოთის ქალაქის საბჭოს დარბაზში. (3—6.—1)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმსა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

მ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. გ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

მ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: ანნა 3-ე ხარისხისა ვლადიკავკავის პოლკის შტაბს-კაპიტანს კალისტრატე მამალაძეს;—ანნა 2-ე ხარისხისა ტამანის პოლკის კაპიტანს დავით გუნცაძეს; —სტანისლავი 2-ე ხარისხისა ახალციხის პოლკის კაპიტანს კვინიხიძეს;—ტვერის ცხენოსან პოლკის პოდპოლკოვნიკს თ-დ მიქელაძეს—პოლკოვნიკობა და დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ ავადმყოფობის გამო მუნდირით და პენსიით.

გადაყვანილ იქმნა ტაშკენტის ქვეითა არტილერიის პოდპორუჩიკი თ-დი თუმანიშვილი მე-3-ე არტილერიის ბრიგადაში.

ჩაირიცხა შტატს-გარეშე მყოფი უმცროსი მკურნალი ვირსალაძე პეტერბურგის მაზრის სამხედრო-საექიმო დეპარტმენტის მოხელედ.

გარდაიცვალა: ელიზავეტპოლის პოლკის პოდპორუჩიკი ჩხოტუა.

სათადარიგო პორუჩიკი მაჭუტაძე, სვენცოვის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლე, თავისისავე თხოვნით სამსახურიდამ გავიდა.

ებოძათ: კოლეჟსკი სეკრეტარს გამრეკელს ტიტულიარნი სოვეტნიკობა; —კოლეჟსკი ასსესორს, კიშინიოვის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ლალაძეს ნადვორნი სოვეტნიკობა

ტფილისი, 15 აგვისტოს.

იშვიათად მოჰხდება ისეთი შემთხვევა, როგორც ეხლანდელი გარემოებაა, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ გამოიჩინოს თავისი სიკეთე, თავისი ჭკუა და გამჭრიახობა, ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის მოსაწყობი ერთგულება და საზოგადო საქმის კეთილ გზაზე დაყენების ზრუნვა.

დღეს უმაღლესი მთავრობა სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნავს და საგუბერნიო კომიტეტებს იწვევს. ამ კომიტეტებში საზოგადოების დახმარებასაც ადგილი აქვს. ჩვენ უკვე („ივერია“ № 140, ივლისის 5) გამოვთქვით ის აზრი, რომ მაზრების თავად-აზნაურობამ სამაზრო კრებანი გაჰმართოს, უმაღლესად დამტკიცებული კომიტეტის პროგრამა განიხილოს და თავისი ნამუშევარი გუბერნიის კრების და მარშლის შემწეობით ზემოხსენებულ სამეურნეო კომიტეტს აცნობოს.

საქართველოს ორსავე გუბერნიის, ტფილისისა და ქუთაისის, კომიტეტებში მონაწილენი იქნებიან გუბერნიის მარშლები. ამათ დიდი საზრუნველი ვალი ადევთ, საგუბერნიო კომიტეტს მოახსენონ კარგად შემზადებული და დასაბუთებული მოსაზრებანი ჩვენის მეურნეობის საჭიროებათა შესახებ.

უმაღლესად დამტკიცებულ კომიტეტის პროგრამა ვრცელია და ამას გარდა ნებას აძლევს კომიტეტს ისეთს საგნებსაც შეეხოს, რომელიც პროგრამაში მოხსენებული არ არის, ხოლო ადგილობრივ მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყოველთვის გავიძახით ხოლმე, პატრონი არ არის, ამასა და ამაზე ხმა ამოიღოსო. სულ სხვის იმედი გვაქვს, სულ ცას შევყურებთ, ღმერთმა წყალობა ზამბილებით და პარკებით ჩამოუშვასო. ახლა თვით მთავრობა იწვევს საზოგადოებას, მოეცით კომიტეტებს თქვენი ცოდნა და მოსაზრებაო, და ნუ თუ გუბერნიის და მაზრების თავად-აზნაურთა კრებას სათქმელი არა ექნება-რა?!.

თუ დღეს ჩვენი მარშლები იმერეთში და ამერეთში ამისათვის არ იზრუნებენ და შინაურულად ორიოდ საგულვებელ კაცთან მოლაპარაკებით გაათავებენ საქმეს. თავის აზრების წარსადგენად, ეს აზრები სრულიად მოკლებული იქნება იმ სისრულესა და სავსეობას, რომელიც მთავრობას სწადიან და უსაფუძვლო, მოუმზადებელი და ყოველგვარ ნაკლულევანებით სავსე იქნება, როგორც ეს მოხსენებული იყო „ივერიის“ ზემოხსენებულ 140 ნომერში.

დღეს, ვინც ბრმა არ არის, კარგა ჰხედავს, რამდენი საზრუნველი საქმე ასტეხია ჩვენს მეურნეობას, ჩვენს მიწად-მფლობელობას, თავად-აზნაურთა და გლეხთა ურთიერთობას.

მიწებზე სახელმწიფო გადასახადის კანონიერად შეწერა მოითხოვს საქმის გამორკვევას გულდადებით. დღეს შეწერილ გადასახადზე ბევრი ლაპარაკია, რომ გამოურკვევლობის მიზეზით, ბევრგან დიდი შეცდომა მომხდარა, მაგალითად, ერთი და იგივე მამული რამდენისამე სახელით დატვირთულია გარდასახდელ ფულით.

სასოფლო მეურნეობას ხელფეხს უკრავს ხიზნების საქმე, რომელიც ასეთის უბედურის დავი-დარაბით სავსეა. მშვიდობიანად წარმოება მეურნეობისა შეჩერებულია, როგორც მემამულისათვის, ისე ხიზნებისათვის.

ტყისა და საძოვარ ადგილების შესახებ დავა გაბმულია დროებით ვალდებულ გლეხთა და მებატონეთა შორის. როგორც გლეხს, ისე მებატონეს ვერ გამოურკვევია თავისი მდგომარეობა, ხან ერთისკენ არის უკანონობა, ხან მეორესკენ, ხან გლეხია დამნაშავე, ხან მებატონე. მთავრობამ დიდი საქმე გადასწყვიტა, ბატონ-ყმობა გააუქმა. დრომ ახლა სხვა გარემოება დაჰბადა და მთავრობამაც ამას მიჰხედა, რომ მეურნეობა წინ წასწიოს. კომიტეტების დანიშვნა სწორედ ამას მოასწავებს.

საჭიროა, რომ მთავრობის წინაშე ყოველის მხრივ გამორკვეული აზრი გამოითქვას. ერთის ნაბიჯის წინ გადადგმა იქნება, რომ თავად აზნაურობათა კრებამ ორივე გუბერნიაში მთავრობას წარუდგინოს მოსაზრება დროებით ვალდებულთა და ხიზანთა საქმის მოწესრიგების შესახებ, რომ ამ გვარად შესწყდეს ის გამოურკვეველი ურთიერთობა, რომელიც დარჩა ყმების განთავისუფლების შემდეგ. ეს მდგომარეობა თვით მთავრობამ სცნო დროებითად, და ამიტომ ადრინდელ ყმებს დროებით ვალდებულ გლეხებს უწოდებს. კანონს იმედი ჰქონდა, რომ განთავისუფლებული ყმები ან სახელმწიფოს შემწეობით, ან საკუთარის ღონის ძიებით გამოისყიდდენ მამულს და სრულიად განთავისუფლდებოდნენ. ეს იმედი მართლაც და ასრულდა ბევრგან ქუთაისის გუბერნიაში. მრავალმა გლეხმა მამული გამოისყიდა სახელმწიფოს დაუხმარებლად. ქართლ კახეთში-კი უფრო ნაკლებაა. მაგრამ კიდევ საკმაოდ ბევრია ისეთი გლეხი, მეტადრე ტფილისის გუბერნიაში, რომ დღე-საც სახელმწიფოს დახმარებითაც თავს არ იხსნის. მიზეზი ამისი არის ის გარემოება, რომ ტყისა და საძოვრის დაკარგვისა ეშინიან. დღეს დროებით ვალდებულ გლეხს უფლება აქვს კანონით მებატონის ტყით დ საძოვრით ისარგებლოს. ძველის საქართველოს ადათი ასე იყო და დღესაც კანონის ძალით, როგორცა ვსთქვით, სარგებლობს. ეს დიდად საგულისხმო რამ არის, რომ დაუფიქრდეს ჩვენი თავად-აზნაურობა.

ამას წინად ჩვენ მოვიყვანეთ ბ-ნ კ. ყიფიანის აზრი საძოვრების შესახებ, თავად-აზნაურობამ მთავრობას სთხოვოსო გლეხობისათვის საჭირო საძოვრები (ან ტყე) თავად-აზნაურობისაგან გამოისყიდოს და მისცეს გლეხობასაო; უამისოდ, ამტკიცებდა ბ-ნი ყიფიანი, გლეხ-კაცობა გაწყდებაო და შიმშილ-ტიტველი ავაზაკობის კერძი უნდა შეიქნასო.

ამ ჩამოთვლილს გარდა მრავალი საფიქრებელი რამ არის ეხლანდელ მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობაში. ორივეს ინტერესი შერყეულია და ამით მეურნეობაც წინსვლას მაგიერ უკან იწევს.

დღეს თავად-აზნაურობას შეუძლია სასახელო საქმე ჰქმნას ქვეყნის და თავის საკუთარის სარგებლობისათვისაც. გლეხისაც და მებატონის კეთილდღეობა დამოკიდებულია კარგ მეზობლობაზედ, კარგ ურთიერთობაზე. ვიცით, ჩვენი ქვეყანა სოფლის ხალხით არის დასახლებული და სოფელი აცხოვრებს ჩვენს ქვეყანასა. გლეხი გვაჭმევს პურს და არა ვაჭარი და მრეწველი. მრეწველობას ჯერ ფეხი არ აუდგამს. სოფლის დაცემას მოჰყვება მებატონის დაცემაც, რადგანაც სოფელი გლეხითა სცხოვრობს.

დიაღ, მრავალი საგანია საზრუნველი, რომელიც მოითხოვს დინჯად, სინიდისიერად,

სიმართლით მსჯელობას, მოსაზრებას.

თავად-აზნაურთა წოდებაში მოიპოვებიან განათლებულნი, საზოგადო საქმის მცოდნენი და გულშემატკივარნი. მათი მოვალეობაა ფხიზელის თვალით შეხედონ საშვილიშვილო საქმეს, როდესაც დღევანდლისთანა შემთხვევა ხელს უწყობს. მათი ვალდებულობაა ამ ფრიად საჭირო საქვეყნო საქმეში გამოიჩინონ ინიციატორობა და ჩვეულებრივის გულგრილობისაგან გამოაფხიზლონ თავად-აზნაურთა წოდების წევრნი. გაზეთები გვაცნობებს, რომ მეურნეობის წინ წაწევის შესახებ მთავარ კომიტეტს პეტერბურგში მისდის კერძო კაცთა მოხსენებანიცა. ცხადია, რომ ამისთანა დროს საზოგადოების მოსაზრებასაც დიდი ადგილი ეჭირება. ჩვენმა საზოგადოებამ მთავრობის მოწოდებაზე უნდა იფიქროს და მიჰმართოს თავად-აზნაურთა მარშლებს, რომ მაზრებში, და შემდეგ საგუბერნიო კრებაში მსჯელობა იქონიონ. მეორეს მხრით გუბერნიების და მაზრების მარშლების მოვალეობაა მოიწვიონ კრებანი მაზრებში და შემდეგ გუბერნიებში.

თუ თავად-აზნაურთა წოდებამ ამისთანა დროს არ მოახერხა სასარგებლო დახმარება საქვეყნო საქმეში, იგი დაჰკარგავს საზოგადოდ ქართველობის ნდობასაც და თვით მთავრობისასაცა. კეთილშობილ წოდების სურვილს, აზრს, მსჯელობას შემდეგში არარაფერი ფასი არ ექმნება არც მთავრობისა და არც ხალხის თვალში.

ტფილისი

◆ ჩვენ მივიღეთ ბათუმიდგან ბ. გ. ვოლსკისა და თ. ი. ანდრონიკაშვილისაგან შემდეგი დეპეშა: ბათუმის ქართველ საზოგადოების მიერ ვაცხადებთ ღრმასა და გულწრფელს მწუხარებას ნიჭიერის დრამატურგისა და სამშობლო სცენის მოღვაწისა დაუვიწყარის ასიკოს უდროოდ გარდაცვალების გამო.

◆ განსვენებულის ავქს. ცაგარლის დასაფლავება გადიდო კვირას, 18 აგვისტოსათვის.

◆ ახლად გარდაცვალებული განსვენებული დრამატურგი ავქ. ან. ცაგარელი, როგორც მისი მახლობელნი ამბობენ, ამას წინად ახალი დრამის წერას შესდგომოდა და თითქმის ბოლომდე მიეყვანა იგი, მაგრამ უწყალო სიკვდილმა აღარ აცალა მისი დამთავრება და საბოლოოდ შემუშავება. შინაარსი თურმე ჩვენის ცხოვრებიდანაა აღებული.

◆ ქალაქის ხელოსანთა კრებას თხოვნით მიუმართავს გუბერნატორისათვის, რათა მან ოფიციალურად დაამტკიცოს 31 იანვ. 1902 წელს ამორჩეულნი გამგეობის რწმუნებულნი.

◆ ის მოკლე ცნობანი, რომელნიც ჩვენ რამდენჯერმე დავბეჭდეთ სამრევლო სკოლების ახალი გეგმის შესახებ, კერძო წყაროებიდგან მოგვყავდა ხოლმე. თვით ოფიციალური გეგმა-კი ჯერ არ არის მზათ. როგორ დაიბეჭდება, მთლად გადავთარგმნით და დავბეჭდავთ, რათა მკითხველმა სრული წარმოდგენა იქონიოს ამ ფრიად საყურადღებო საქმის შესახებ.

◆ როგორც ყური მოვკარით, დრამატიულ საზოგადოებას განუზრახავს კუკიის სასაფლაოზედ შეიძინოს ერთი ნაწილი, სადაც უნდა დაიმარხონ ქართულ თეატრის მოღვაწენი; ბ-ნ დ. სარაჯიშვილს უკვე შეუწირავს ათი თუმანი; დანარჩენ თანხის გამოღებას დრამატიული საზოგადოება კისრულობს. ამ კეთილს განზრახვას არ შეგვიძლიან თანაგრძნობით არ მივეგებოთ: ხშირად მომხდარა, რომ ჩვენი საზოგადოება დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილა, რადგან ამა თუ იმ გარდაცვალებულ მოღვაწისთვის შესაფერისი ადგილი ვერ მოუნახავს დასასაფლავებლად.

◆ დღეს, აგვისტოს 14-ს, ქალაქს დაბრუნდნენ მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების წევრი ბ-ნი კ. თაყაიშვილი და მის მიერ მიწვეულნი ხუროთ-მოძღვარი ბ-ნი ს. კლდიაშვილი და როინაშვილის ფოტოგრაფიის გამგე; მათ მოუვლიათ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხე, განსაკუთრებით ძველი სამცხე-საათაბაგო, და ბევრი ღირს-შესანიშნავი სიძველენიც აღმოუჩენიათ.

◆ ამ თვის 19-ს დანიშნულია იმ კომისიის კრება, რომელსაც მინდობილი აქვს, შეიმუშაოს სხვა-და-სხვა კითხვები ზედაშის (საეკლესიო ღვინის) შესახებ; ამ კრებას პირველად დაესწრება ყიზლარის მევენახეთა წარმომადგენელიც.

◆ ამ დღეებში ტფილისის საგუბერნიო სააღმშენებლო განყოფილებას გაუსინჯავს ბორანი მუხრანის ხიდთან და აღმოუჩენია, რომ ბორანის მოიჯარადრეს ბევრი ტეხნიური პირობები არ შეუსრულებია, რაიცა მას გამგეობამ დაავალა. ამისათვის კომისიამ საჭიროდ სცნო შეაყენოს ბორანის მისვლა-მოსვლა იმ დრომდე, სანამ მოიჯარადრე ბუდაღოვი ხელშეკრულობაში აღნიშნულ ყველა პირობებს შეასრულებდეს.

◆ მკითხველებმა უწყიან, რომ თბილისის პოლიცმეისტერმა ამ წინაზედ მიჰმართა ქალაქის თავს და სთხოვა: რადგანაც ახალი შენობა ჯერ არ მოესწრობა, ამისათვის თბილისის ცეცხლის მქრობ რაზმისათვის სახლის ძებნას სჯობს ეხლავე შეუდგეთო. თბილისის პოლიცმეისტერმა აგრეთვე გუბერნატორსაც მიართვა ქაღალდი, რომელმაც მისწერა ქალაქის თავს, რომ, რაც შეიძლება, მალე დაიქირავეთ სახლი ცეცხლის მქრობ რაზმისათვისო.

◆ როგორც საადრესო სტოლის ცნობებიდგან სჩანს, მისი გახსნის პირველ დღიდგან პირველ აგვისტომდე მას მიუცია ათასამდე ცნობა სხვა-და-სხვა პირთათვის, თითო ცნობა თითო შაურად.

◆ ქალაქის გამგეობის წევრთა და საფინანსო კომისიამ დაასრულა მომავალ წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა. საერთო შემოსავალი მომავალის წლისა ამ ანგარიშით უდრის 1,942,466 მან., ასე, რომ მომავალი წლის შემოსავალი გაცილებით აღემატება გასულ წლისას.

◆ არა ერთისგან გვსმენია, რომ საადრესო სტოლის ეხლანდელი სადგომი, მოსკოვსკი ბალკაში, უხერხულ ადგილას არის მოთავსებული და კარგს ინებებს გამგე ამ დაწესებულებისა, რომ უფრო ახლო სადმე მოთავსდეს იგიო.

◆ 13 ამ თვეს მე-7-დე უბნის ბოქაულმა და ამავე ნაწილის სასანიტარო ექიმმა გასინჯეს ხილის დუქნები: მრავალი უვარგისი საზამთრო და ნესვი აღმოაჩინეს; 14-ს დაათვალიერებენ სადგომ-ეზოებს და სამიკიტნო-ტრაქტირებს.

◆ ამ სამ-ოთხი დღის წინად „ტფილისის ფურცელში“ დაბეჭდილი იყო წერილი ბ. ინოზემცევისა, რომელიც თავს მართლულობდა, რომ სახელოსნო გამგეობის საქმეების აწეწ-დაწეწვასა და სიყალბის ჩადენაში მე ბრალი არა მაქვს-რაო. ამის შესახებ ჩვენ შემდეგი ცნობა მივიღეთ: როგორც ინოზემცევის საანგარიშო წიგნებიდგან აღმოჩნდა, ინოზემცევზედ ითვლება 150 მანეთი-კი არა, როგორც ინოზემცევი ამბობს თავის წერილში, არამედ 231 მან. 1900 და 1901 წლებისა, თუ არ ჩავთვლით იმ 28 მან. 80 კაპ., რომელიც დარჩენილია მასზედ 1896 წლიდგან, და რომელიც არ წარუდგენია მას ხელოსანთა გამგეობაში. სხვათა შორის ინოზემცევს სამსახურის დროს ჩაუდენია სხვა-და-სხვა სიყალბე, რისთვისაც იგი პასუხის გებაში იქნება მიცემულიო. ბ. ინოზემცევი ზოგიერთებს ატტესტატში ართმევდა 2—4 მან. და ზოგჯერ თითო თუმანსაცაო; ქარგლის თანაშემწის მოწმობებში იღებდა 5 მ. 50 კ., შეგირდებს პირობების დაწერისათვის ართმევდა 2 მ. 50 კ., და სხვა მრავალი უწესოება ჩაუდენია სამსახურის დროს. თუმცა ხელოსანთა მოურავს ბევრჯერ გაუფრთხილებია ბ-ნი ინოზემცევი, მაგრამ მას თავისი არ დაუშლია, რისთვისაც-კი ხელოსანთა დადგენილებით პასუხისგებაში იქნება მიცემულიო.

◆ აგვისტოს 12-ს მადათოვის ქუჩაზედ შაიშმელოვის ტრაქტირიდგან გამოვიდნენ ნაქეიფარნი სპარსეთის ქვეშევრდომნი ქიარიმ ფატალი-ოღლი და მისი ამხანაგი აბდულ-აზიზა ოღლი; როცა გაემართნენ ხიდისაკენ, აზიზა-ოღლიმ ამოაცალა თავის ამხანაგს ჯიბიდგან ქისა, რომელშიაც 40 მანეთი იდო, და გაქცევა დააპირა; პოლიციამ შეიპყრო აზიზ-ოღლი და გარდასცა გამომძიებელს.

ნეკროლოგი

† ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოგვაცალა ხელიდგან შედარებით ჯერ ისევ ახალგაზდა დრამატურგი და მწერალი ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი. განსვენებული 45 წლის კაცი იყო, ესე იგი იმ შუა ხნის კაცი როცა უმეტესად იფურჩქნება და იშლება შემოქმედობითი ნიჭი ადამიანისა. მერე სადრამატურგო ნიჭი, სადრამატურგო მწერლობის უნარი ფრიად იშვიათია კაცთა ცხოვრებაში და მაშინა ჩნდება მხოლოდ როცა კაცი ხანში შედის, ბრძენდება, გამოცდილებას იძენს, ცხოვრებას აკვირდება ფხიზელის თვალით და მის სინტეზს ახერხებს. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი, რომ სადრამო შემოქმედობა გვირგვინია ყოველის სხვა გვარის შემოქმედობისაო.

ავქსენტი ცაგარლის ნიჭისა და სადრამო შემოქმედობის დაფასების დრო არ არის ამ ჟამად. ჯერ კუბო განსვენებულისა თვალ-წინ გვიდგას, მიწისთვის არ მიგვიბარებია, გული სწუხს ძვირფას მეგობრის სიკვდილითა, და ცხედარის ხილვით ცრემლი გვერევა თვალებში, რომ ასე უდროვოდ დავკარგეთ დიდი მოამაგე ჩვენის თეატრისა და სათეატრო მწერლობისა. ცხადია, ამ ყოფაში დალაგებული სჯა, ფრთხილი აწონ-დაწონვა კაცის მოღვაწეობისა და ამაგისა მოუხერხებელია, ძნელია და არც მიღებულია. ან-კი რა საჭიროა, მაგის დროც მოვა.

ჩვენ გავიხსენოთ, მხოლოდ გაკვრით, გავითვალისწინოთ რაოდენიმე განსვენებულის ცხოვრება და მოღვაწეობა და აღვნიშნოთ უფრო შესამჩნევი მომენტები.

ავქსენტიმ სასულიერო სემინარიაში მიიღო სწავლა-განათლება, თუმცა კურსი არ დაუმთავრებია, სასწავლებელს დაანება თავი 1878 წელს. მამა მისი, სოფელ დიღომის მღვდელი უკვე გარდაცვალებული იყო ამ დროს, უფროსი ძმა ალექსანდრე ახლა პროფესორია პეტერბურგის უნივერსიტეტისა. ტფილისში ამ დროს დიდად იყო გამოფხიზლებული ცხოვრება და ამაღლებული ადამიანთა შეგნება რუს-ოსმალოთა ომიანობის გავლენით ქართველობაც სცდილობდა თავისას, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლო იყო. სხვათა შორის თეატრისა და სცენისათვისაც ჰზრუნავდნენ მაშინ მოთავე და შეგნებულნი ქართველნი. შესდგა დროებითი სათეატრო დასი წარმოდგენების მართვისათვის და ამ დასში მოჰყვა სხვათა შორის ასიკოცა. ასიკო მხიარულის ხასიათის კაცი იყო, ხუმარა და მოხდენილი ოხუნჯი. იქვე ყმაწვილობისას ეტყობოდა ნიჭი კომიკობისა. ასეთის ხასიათებისათვის ამხანაგებს, ქალებს თუ კაცებს, ძალიან უყვარდათ განსვენებული. ზოგს კიდევაც ეშინოდა გულში იმის დაცინვისა. წარმოდგენები იმართებოდა არა ხშირად. ასიკოს თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა და აი 1879 წლის ზაფხულს და შემოდგომაზედ, როცა მხოლოდ ჩვენ ძველ მწერლების და გაბრ. სუნდუკიანცის ანაბარა ვიყავით, ჩაისახა მის გულში, გაიზარდა და ბოლოს დაიბადა ასიკოს პირველი პიესა „რაც გინახავს—ველარ ჰნახავ“.

ჩვენს სიხარულს სამზღვარი აღარა ჰქონდა. გაჩნდა მწერალი, რომელმაც ცოტაოდნად ახალის ცხოვრების ინტერესი დაჰბადა. ჩვენის მწერლობის კორიფეები ალტაცებაში იყვნენ. საზოგადოება ხომ დიდის ხალისითა და ინტერესით ესწრებოდა ახალ პიესის წარმოდგენას, ჩერე ისეთ პიესისას, რომ ფერდები ხელით უნდა გჭეროდა, თორემ სიცილით შენ-შენი დაგემართებოდა.

არ გასულა წელიწადი, რომ მეორე პიესაც დაიბადა—„მაიკო“, მაგრამ ეს პიესა ისე სამხიარულო არ იყო და საზოგადოებამაც ცოტა არ იყოს გულ-ცივად მიიღო. სამაგიეროდ, ავტორმა ალღო აუღო ცხოვრებას, უკეთ შეიგნო სცენისა და საზოგადოების მოთხოვნილება, წესი და რიგი ეფექტებისა, ფსიხოლოგია გემოვნებისა. ყოველ ამას მოჰყვა შედეგად პიესა „ხანუმა“, რომელშიაც უმთავრესი და ძირითადი როლი შექმნილია მისის მეუღლის ნატალია მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლისათვის. ეს პიესა ძლიერ მოიწონა და დღესაც ძლიერ მოსწონს საზოგადოებას. მართალია, წმინდა კომედია არ არის, უფრო ფარსსა ჰგავს, მაგრამ მეტად ცხოველი ტიპებია შიგ დახატული და ისეთ კომიზმით სავსე, რომ წარმოდგენების დროს განუწყვეტელი სიცილ-ხარხარი, ტაშისკვრა და ვაშას ძახილია.

შემდეგ რამდენიმე პიესა კიდევ დასწერა განსვენებულმა—„ციმბირელი“, „ქართვლის დედა“, რამდენიმე ვოდევილი, დიდის ნიჭით გადმოქართულებული რუსულით. ხელ-მოკლეობის გამო ავქსენტი ცაგარელი იძულებული იყო სამსახური ეძოვა და ტფილისისათვის თავი დაენებებია. სცენა—ეს მისი საყვარელი სტიქიონი—დიდ ხანს მოჰშორდა და მოსწყდა გულიდან განსვენებულს. მხოლოდ ამ ბოლოს დროს დაანება თავი მან სამსახურს, მაგრამ სცენაზედ საარტისტოდ მოღვაწეობა გვიანღა იყო და ისევ მწერლობას მიჰყო ხელი, თუმცა მხოლოდ ერთი პიესის დამთავრება მოასწრო. ეს პიესა შარშანწინ დაიბეჭდა „მოამბეში“.

უმთავრესი დამსახურება განსვენებულისა არის მისი პიესები და ვოდევილები. ამ პიესებმა დიდი ამაგი დასდო ჩვენს თეატრს: ფესვი გაუდგა ღრმად, ხალხს, მდაბიო ხალხს შეუყვარდა თეატრი, თავ-მოსაწონებელი შეიქმნა, საერო დაწესებულებად გარდაიქცა.

ტფილისს აჰყვა ქუთაისი, ქუთაისს სხვა სამაზრო ქალაქები და დაბა-სოფლები. ამ უკანასკნელ 4—5 წელიწადში სათეატრო საქმემ სხვათა შორის ავ. ცაგარლის პიესების წყალობით ისე გაიდგა ფესვი მთელს საქართველოში, რომ, ვგონებ, ერთი რიგიანი სოფელი და დაბა აღარ არის საქართველოში, საცა ერთხელ მაინც არ გამართულიყოს წარმოდგენა, და ასიკოს რამ ნაწერი არ ეთამაშნოთ. ამის გამო ასიკოს სახელი მოედო კიდით-კიდე მთელს საქართველოს. მისი სახელი თითქმის უფრო პოპულიარულია და გავრცელებული მდაბიო ხალხში, ვიდრე ჩვენის დიდის პოეტებისა, მწერლებისა და მსწავლულებისა.

ასეთია ძალა ნიჭისა, მადლიანის კალმისა, კეთილის ამაგისა და მოღვაწეობისა. სახელი ასიკოსი, აწ უკვდავია საქართველოში. ჩვენი საერო თეატრი ხომ მის სახელს ოქროს ასოებით დაჰბეჭდავს თავის ზრდისა და აღორძინების ისტორიაში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო ძმაო და მეგობარო ასიკო! ინებოს ღმერთმა, რომ შენი ნაასალი გაკეთებინოს ჩვენის ქვეყნისათვის ყველა შენს მეგობარსა და თანაგრძნობელს!

გრ. ყიფშიძე.

ჩვენებური ამბები

ცხინვალი. კიდევ ახალი უბედურება სწვევია საბრალო ცხინვალს: აგვისტოს პირველ რიცხვებში მოსულა საშინელი სეტყვა, რომელსაც ვენახები და სხვა მოსავალი მეტად გაუფუჭებია. ზარალი თურმე ძალიან დიდია.

—

სადგური შორაპანი. ორი თვეა, რაც რკინის გზის მოსამსახურეების თხოვნით აქ დაარსეს სავაჭრო განყოფილება „Общество Потребителей“—რკინის გზის ლიანდაგებს შუა.

დღემდე აქ წვიმები იყო, მაგრამ ეხლა—კარგი დარები დაიჭირა. სიმინდები და ვენახი კარგია. საზოგადოდ, აქ კარგს მოსავალს მოელიან, ხალხი გაჭირვებულია.

შავი-ქვის გადაზიდვა შეჩერებულია. ათი წყვილი მუშა მატარებლის მაგივრად, დღეში ორი-სამი წყვილის მეტი არ დადის. მიზეზი შეჩერებისა, როგორც ამბობენ, გემების გაძვირებაა! ამას წინად გაზეთ „ივერიაში“ წავიკითხეთ, რომ სად. შორაპანის დეპო ყვირილაში გადააქვთო, მაგრამ, როგორც გვეს-

ფელეტონი

მასლაათი

სამეურნეო ციებ-ცხელების გამო

„სააშიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სათრეველად“
რუსთაველი.

თუ ახირებულს და თავისებურ „კვალს“ სათვალავში არ ჩავაგდებთ, ქართულ ლიტერატურას ზრუნვა და ყურადღება არასოდეს არ მოუკლია სასოფლო მეურნეობისთვის. ბევრჯერ აგრარულ და აგრონომიულ ველზედ სასტიკი ბრძოლაც-კი მომხდარა... რასაკვირველია, წრიპინა კალმით, თუმცა ამ ბოლოს დროს პრესსას აუჩემებია, „მორტირებიც“ შემოვიღოთ და მეურნეობის დასაცველად მთელი არტილერია გავიჩინოთო... იქნება მოგეხსენებოდეთ, რომ ეს არტილერია ცასა და ჰაერში ჭექითა და ქუხილით უნდა შეებას მეურნეობის ისეთს პაწია მტერს, როგორიც სეტყვაა. არ ვიცით, ამ არტილერიას დარჩება ბურთი და მოედანი, თუ სეტყვა გამოვა ძლევა-მოსილი, მაგრამ ცხადი-კია, ჩვენს მეურნეობას დიდი განსაცდელი უნდა ადგეს, რომ პრესსამ ასეთს საოცარს იარაღს მიმართა. ვეჰო, ქართველ მეურნეს, თავისის მოსავლის დასაცველად, იმდენი თოფის წამალი ვერ უშოვნია, რომ დათვი მოჰკლას, და ახლა დაუჟინიათ, „საარტილერიო პარკები“ დავაარსოთ და ყუმბარები ჰაერში ვისროლოთ, როცა, პოეტის თქმისა არ იყოს, „ცა დაიელვებს და დაიხოშება ღრუბლებიო“... თუ უკიდურესი გაჭირვება არა, მაშ სხვა რა ჯანაბა [illegible] აიძულებს ქართველს, ჰაერში ზარბაზანი ისროლოს და იქ ხოშკაკალა ჰფანტოს! ამ უკიდურეს გაჭირვებას ჩვენი მწერლობა მუდამ ჰხედავდა და, შეძლებისამებრ, ხელმძღვანელობასაც უწევდა საზოგადოებას, მაგრამ ხან-და-ხან ეს მწერლობაც აჭარბებდა და წრეს გარედ გადადიოდა. მაგალითებრ, ზოგნი ისე აზვიადებდნენ სამეურნეო სწავლას, რომ სხვა გვარი ცოდნა და განათლება ჩვენის ახალგაზდობისათვის თითქმის მეტ ბარგად მიაჩნდათ. რასაკვირველია, საღი აზრი და ცხოვრების ლოღიკა მხარს არ უჭერდა ასეთს ქადაგებას, თუმცა სწამდა-კი, რომ სპეციალური განათლება ძლიერი იარაღია სამეურნეო კეთილ-დღეობის აღორძინებლად.

დაცემულს და დავრდომილს სასოფლო მეურნეობას ამ ბოლოს დროს უმაღლეს მთავრობამაც ყურადღება მიაქცია. ნაბრძანებია, რომ ყოველ ადგილს და კუთხეს გამოიკვლიონ და გამოიძიონ სასოფლო მეურნეობის ავი და კარგი და, ამასთანავე, მთავრობას წარუდგინონ,—რა ესაჭიროება მეურნეობას. ჟურნალ-გაზეთობიდგან გეცოდინებათ „სასოფლო-სამეურნეო კომიტეტების“ ამბავი. რუსული პრესსა დიდს ფაცა-ფუცშია. გეგონებათ, სამეურნეო ციებ-ცხელება შეეყარაო. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი პრესსა მუდამ უფრო ზანტია, ვიდრე რუსული და ამიტომ ზოგიერთ ჩვენს გაზეთს ჯერ თითქო ყურიც არ გაუბერტყნია, ვითომ აქ ისეთი არაფერი ამბავიაო. სულ სხვაფრივ მოიქცა ჩვენი თავად-აზნაურობა და განსაკუთრებით მისი დიდად ნიჭიერი და დიდად მხნე წინამძღოლი, პატივცემული დ. ზ. მელიქიშვილი. ეს ღირსეული მოღვაწე საქმეს უკვე შეუდგა და სრული იმედია, რომ ჩინებულადაც შეასრულებს...

დიაღ, სოფელს და მის მეურნეობას ბედმა გაუღიმა. ღვთის წინაშე, დროც-კი იყო. ჩვენი სამშობლო იმ თავითვე აქამომდე სოფლით ცოცხლობს და სოფელში-კი რომ მიბრძანდეთ, გეგონებათ მურვან ყრუს აკლებულიაო. თქვენის თვალით უნდა ჰნახოთ, აი, თუნდა ზემო ქართლის სოფელი, რომ სანახავმა შეგზაროთ. ჯერ გარეგნობა გიკლავთ გულს: სახლი სახლს არა ჰგავს, ქუჩა ქუჩას, გზა გზასა და ხიდი ხიდსა... ყველაფერში უწესოება და უწრიგობა მოსჩანს. მაგრამ გარეგნობას თქვენი ჭირიც წაუღია, უფრო გულსაკლავ სურათს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. წარმატების არავითარიმე ნიშანწყალი ამ მეურნეობას არა აჩნევია. პირველ შეხედვითვე შენიშნავთ, რომ ყოველსავე თითქმის ბუნება აკეთებს, ხოლო სწავლისა და მეცნიერების ხელი არსად სჩანს. აგერ რამდენი ხანია, რაც სახელოვანმა მამულიშვილმა ი. წინამძღვარიშვილმა დააარსა სამაგალითო სამეურნეო სკოლა, მაგრამ აქამდე მეზობლად მდებარე სოფლებსაც-კი სასურველი და მოსალოდნელი სამეურნეო სიკარგე არ დასტყობიათ. მევენახეობა გნებავთ თუ ბაღოსნობა, მებოსტნეობა თუ სხვა სამეურნეო დარგი—უფრო ადამის ჟამის წესსა და რიგს მისდევს და განახლებას ისე ერიდება, თითქო ეშმაკი სინათლესაო. მაინც ქართველი, და კერძოდ ქართლელი მეურნე, მეტად კონსერვატულ ზნისაა და შეურყეველად მამა-პაპეულ კვალს ადგია. წინსვლა, ეგრეთ წოდებული პროგრესი ამ ქართველისთვის თითქო არც-კი არსებობს. ათასი უნდა იფიქროს, ვიდრე სულ მცირეოდენს ცვლილებას შემოიღებდეს. ამიტომ ჩვენს სასოფლო მეურნეობას მხოლოდ მაშინ ეშველება, როცა ქართულ კონსერვატორობას ბოლო მოეღება. დიდი ძალა და ღონე კი უნდა ამ ბურჯისა და ციხის გატეხას. აქ მარტო „საარტილერიო პარკიც“-კი ვერას იზამს, და საჭიროა, რომ მთელი საზოგადოება და ინტელიგენცია იერიშით მივიდეს სამეურნეო უმეცრების სიმაგრეზედ.

არ ვიცით, ჩვენნი მეურნენი რა წამალს გამოსძებნიან გავერანებულ მეურნეობის აღსადგენად, მაგრამ ეს-კია, რომ არავითარიმე „გარეგანი რეფორმა“ მეურნეობას ისრე ფეხზედ ვერ დააყენებს, როგორც ჯერ **საზოგადო** და მერე **სპეციალური** სწავლა. ყველა ეგ ხომ ტრუიზმიაო, მიპასუხებთ. ასე-კია და რაც გინდა დაუძახეთ. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა საჭირო არ არის. აიღეთ გერმანელების ახალშენები, რომელთაც გარშემო ქართველობა არტყია. ეგ ახალშენები სწორედ იმ აზრით გააჩინეს, რომ საუკეთესო მეურნეობა შეითვისოს ხალხმაო, მაგრამ შეითვისა?—ვაი თქვენს მტერს! დიაღ, ქართველს პატრიარქის ნოეს დროინდელი მევენახეობა თუ ისევ მოსწონს, ეს იმიტომ, რომ იმისი გონება უკეთესს ვერას მისწვდომია. გაადიდეთ ამ ცოდნების ჰორიზონტი, „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“ და მაშინ ბოლოც მალე მოეღება ჩვენს უცნაურს კონსერვატორობას და ახირებულს საზოგადოებრივს სიოჩნეს და, თუ გნებავთ, ინერციას...

სასოფლო-სამეურნეო კომიტეტს ვრცელი პროგრამა აქვს შემოფარგლული. ამ პროგრამის მიხედვით, კომიტეტის წევრთ შეუძლიანთ, იძიონ და ჩხრიკონ თითქმის მთელი სოციალური და ეკონომიური ცხოვრება. ახლად მოსულმა ცნობამ გვაუწყა, აზრისა და ბჭობის სრული თავისუფლება ენიჭება სამეურნეო არეოპაგს, მხოლოდ **პოლიტიკას** ნუ შეეხებიანო... ეს მეტად დიდი ამბავია. ამის მსგავსი ჯერ არა ყოფილა-რა რუსეთში და თქვენც მიხვდებით, თუ რამოდენად აღფრთოვანებული უნდა იყვეს საზოგადოება და უმეტესად პრესსა. ქართველ თავად-აზნაურობას მარჯვე შემთხვევა მიეცა, ფხა და გამჭრიახობა გამოიჩინოს და ჩვენებურად, ძველებურად თავის თავსაც არგოს და ქვეყანასაც სამსახური გაუწიოს. დიდი შეცდომა და მომაკვდინებელი ცოდვა იქნება, უკეთუ კეთილშობილი წოდება თავ-კერძობას ანაცვალებს საქვეყნო საქმესა. ჩვენმა მედროშე თავად-აზნაურობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ აწინდელ დროს წოდებრივი თავკერძობა თითონ თავად-აზნაურობას აზარალებს, ვინაიდგან თვითოეულ წოდების ხსნა და შველა **ერთობასა და ძმობაშია**... ეს ძმობა და ერთობა ჩვენის ერონების მტკიცე ზღუდეს უნდა შეადგენდეს და ვაი იმას, ვინც ბიწიერის ხელით გადალახავს ამ ზღუდეს!..

ყველა ეს კარგი, მაგრამ ერთი შავი და ბნელი ამბავი გულს უწყლავს ბევრს ქართველ მოღვაწეს. თქვენც იცით, რის თქმაც გვსურს: დღითი დღე ჩვენს თავად-აზნაურობას მამული ხელიდგან ეცლება. ღმერთმა ნუ ინებოს და თუ, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს მიწა-წყალმა ისე იარა, როგორც ახლა, ჩვენი თავად-აზნაურობა, სულ მოკლე ხანში, უმამულოდ დარჩება და მაშინ ხომ აწინდელი

მის, მოსალოდნელია ყვირილის დეპოს რამდენიმე სამუშაო ნაწილი აქ გადმოიტანონ. დეპოს სახლების ასაგებად ადგილი უკვე შეიძინეს საყვარელიძისაგან.

დროებით შორაპნელი.

სოფ. მეტეხი (ქართლი). ჩვენს გაზეთებს პირველ მიუქცევია საზოგადოების ყურადღება იმისთვის, რომ ჩვენი ეკკლესიები და ძველი ძეგლები დღითი-დღე ისპობა ჩვენის დაუდევრობის გამო. ამას მაგალითებიც გვიჩვენებს: აგერ ეს ოთხი, თუ ხუთი წელიწადია, რაც მეტეხის ტაძრის შესაკეთებლად იკრიბება ფული და, რასაკვირველია, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ეხმარება ამ კეთილ საქმეს. მაგრამ, თქვენი მტერი იყოს, რა მდგომარეობაშიაც ეს ეკკლესია არის. ფერისცვალება დღეს მეტეხის ეკკლესიაში, ისე კოკისპირულად სწვიმდა, როგორც გარეთ. ეს ყველა იმ დროს, როცა წვითა და დაგვით თითო აბაზობით და შაურობით შეგროვილი თანხა ჯერ გალავნის შეკეთებას მოანდომეს და მერე, რაც დარჩა,—გალავანშივე ორ-სართულიანის სახლის შენობას მღვდლებისათვის. რასაკვირველია, ეკკლესიას კარგი გალავანი უნდა ერტყას და ღვთის მსახურთაც თავ-შესაფარი ჰქონდეთ, მაგრამ ვაი თუ, სანამ ჯერი ეკკლესიას ჰხვდებოდეს, მინამ თაღებმა ვეღარ შეიმაგროს და ერთს უბედურს დღეს ამ ძვირფასმა შენობამ იქუხოს და ძირს დაეცეს. მაშინ ვის ღა დავაბრალებთ ჩვენს უთაურობას?!. კარგს იზამდა მეტეხის გლეხ-კაცობა, რომ იმ ამაგის ნახევარი, რა ამაგიც გალავნისა და მღვდლის სახლების აშენებას დასდო, ეკკლესიის გასაუმჯობესებლად მოეხმარა და სასიქადულო საქმე აესრულებინა. ის მუშა და ის ხარჯი, რაც მეტეხის გლეხკაცობამ დღეს ამ შენობებზედ გაიღო, ამ უზარმაზარ სოფელს ადვილად შეუძლიან ეკკლესიისათვისაც გაიმეტოს. პირველ ჩვენს საქმეს მხოლოდ კარგი მეთაური სჭირდება და, იმედია, ამ საქმეშიაც გლეხკაცობას მეთაური ვინმე აღმოუჩნდება და მათს გარჯას სასიკეთოდ წარმართავს.

ქუთაისი. დღეს, 13 ამ თვეს, ქუთაისის საპატიო სტუმარი პროფესორი ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი წყალტუბოს მიდის იქაურ მინერალურ წყლების დასათვალიერებლად. პროფესორს თან ამ სამკურნალო წყლების ნიმუშების წამოსაღებად და შემდეგ ოდესის ლაბორატორიაში გამოსაკვლევად საჭირო მოწყობილებაც მიაქვს. ამ წყლების ნიმუშების ბ-ნ პეტრიაშვილისათვის ოდესაში გაგზავნას ექიმი თოფურია აპირებდა, მაგრამ დღეს იგი საზღვარ-გარეთ არის. პროფესორს-კი დღეს უამისოთაც კარგი შემთხვევა ეძლევა თითონ დაათვალიეროს ეს წყლები და თავის ხელით, როგორადაც ამას მეცნიერება მოითხოვს, ამოიღოს ქიმიურ ანალიზისათვის საჭირო ნიმუშები წყლებისა. რაც შეეხება წყალტუბოს წყლების გამოკვლევას, იგი ტფილისის სამკურნალო სამართველოსაც მოუხდენია ამ რამდენისამე წლის წინათ, მაგრამ პროფესორის ავტორიტეტი თავმდებია, რომ ოდესის ლაბორატორიის ანალიზი უფრო ჭეშმარიტი იქნება. როგორც პირადად ვამსწრე, პროფესორის მოგზაურობას და მისს შეხედულებას ამ წყლებზე, მკითხველს შემდეგში გავაცნობთ. არ დავაყოვნებთ აგრეთვე ოდესის ანალიზების გაცნობას, როდესაც მას პროფესორი გაათავებს და მოგვაწვდის.

ისო.

რიონ-გაღმის კუთხე. ს. ბზვანის სამკითხველოს შესახებ.— მდიდარი გლეხის ბესარიონ ტყეშელაშვილის მოკვლა.—ვანის ახალი იარმუკა და მისი ბედ-იღბალი—ცეცხლის გაჩენა ტობანიერის საზოგადოებაში.

ბზვანელებს ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდისაგან მოუვიდათ ნებართვა სამრევლო სკოლასთან სამკითხველოს გახსნისა. დამაარსებლებს ამას წინად ჰქონდათ კრება; ამოირჩიეს მზრუნველი, ბიბლიოთეკარი, რევიზორები და სხვა. ჟურნალ-გაზეთებიც გამოიწერეს, და კიდევაც აკურთხეს. სამკითხველო ჯერ-ჯერობით მოთავსებულია სამრევლო სკოლის სადგომში, რაც უხერხულად უნდა ჩავთვალოთ, რადგან სკოლას ცალკე ოთახი არა აქვს, სადაც შეიძლებოდეს სამკითხველოს მოთავსება სექტემბრიდგან, როდესაც სკოლაში სწავლა დაიწყება. აუცილებლად საჭიროა ცალკე ოთახი მოეშენოს სკოლას სამკითხველოსთვის, აგრეთვე მიექცეს ყურადღება სამკითხველოს სალარს. დღეს სამკითხველოს ჰყავს ოცი საპატიო წევრი, რომელთაც დაუვალებიათ წლიურად შემოტანა თითო მანეთისა, რაც მეტად მცირედ უნდა ჩავთვალოთ. ნუ თუ ოცი მანეთი ეყოფა სამკითხველოს შესანახად წელიწადში! საწევრო ფული გადიდებულ უნდა იქმნას სამ მანეთამდე მაინც, აგრეთვე წევრების რიცხვიც უნდა გამრავლდეს.

ზემო ჩამოთვლილი ნაკლის შევსება არის სამკითხველოს მზრუნველის მოვალეობა და იმედი უნდა ვიქონიოთ, მზრუნველი კ. ვოგორიშვილი თავის თანამდებობას საქმით დაგვანახვებს. ვისურვევ, ბზვანში ქაღალდის თამაშობის მაგიერ ყველას ჟურნალ-გაზეთების კითხვით გაერთოს თავი, და სამკითხველოს სახლი სალაყბო სახლად არ შექმნილიყოს.

25 ივლისს ღამის მეათე საათზედ ს. ბზვანში მოხდა შემდეგი საზიზღარი მკვლელობა: აქაური მცხოვრები მდიდარი გლეხი, ბესარიონ ტყეშელაშვილი ნავახშმევს წასულიყო ცხენით თავის სახლიდგან ჭალას საყანეზედ, სადაც სადგომში სიმინდი ჰქონდა გაფშვნილი და უნდა გაეტანებია გასასყიდად ჩალვადრებისათვის. ტყეშელაშვილი ცხენით ჩასულიყო სადგომის ეზოში, ცხენი დაება და გადმოებიჯებია თუ არა ჭისკრიდგან, გავარდნილიყო თოფი და მოხვედროდა საბრალოს გვერდში, ერთი-კი დაეყვირა „მომკლესო“ და დაცემულიყო პირქვე. იმ ღამეს არავის არ გაუგია ეს ამბავი. მეორე დილას-კი მკვდარს წასდგომოდა თავს აქაური კაცი, აყვირებულიყო და შეეკრიბა ხალხი. მკვლელი არსად სჩანს, იჭვი-კი აქვთ მის მეზობელ ბიძაშვილზედ, რომელსაც მასთან დიდი უკმაყოფილება ჰქონდა ფულის შესახებ. განსვენებული მეტად ფულის მოყვარული იყო; ის ასესხებდა სოფელში ფულს დიდ სარგებლით და ხშირად ორი სამი დღის გადაცილებისათვის მოვალეს ერთი ორად ახდევინებდა. როდესაც მოვალე შეეხვეწებოდა, გადამიცილდა ორი დღე, მაპატიე, ნუ გადამახდევინებ ზედ-მეტსო, ის უპასუხებდა. „რა ვქნა, ძმაო, კანონმა ასე მომანიჭა და მე რად დავკარგოო.“ დიდი პატივისცემა და შებრალება იყო, თუ ერთ მანეთს აპატიებდა ვისმე. აი, ამის გამო მოუხდა მას თავის ბიძაშვილთან უკმაყოფილება. ვექსილების, თუ პირობების ძალით ახდევინებდა 250 მანეთს და ამ დღეებში ბოქაულიც უნდა მოეყვანა და გამოედევნა სახლიდგან. ამისათვის მისმა ცოლმა მიუთითა ამ ბიძაშვილზედ მთავრობას, მაგრამ მთავრობამ, რადგანაც ხელ-მოსაკიდი საბუთი ვერაფერი ნახა, ის პატიმრობისაგან გაანთავისუფლა. გამოძიება სწარმოებს. ბოროტ-განმზრახველს შინაური თოფი გაეტენა ბადის დაჭრილ ტყვიებით, რომელიც გაჭრის შემდეგ გამოუღეს მოკლულს ფილტვებიდგან. განსვენებული იქნებოდა 55 წლისა; იყო კარგი მგალობელი. ცოლი ახალი შერთული ჰყავდა, და დარჩა ათი თვის ვაჟი. ადგილ-მამული საკუთარი და დაგირავებული მიწებიც ბევრი აღმოუჩნდა.

გადავიდა „საბეკის“ იარმუკა ვანში—„ურიებში“, მაგრამ ჯერ „საბეკასაც“ არ ეშვებიან ვაჭრობას. პარასკეობით ნახევარი ხალხისა „ურიებში“ იყრის თავს და ნახევარი ისევ საბეკას“. ხმაც ისმის, ვითომ, ბაზრობა ისევ „საბეკას“ უნდა იქნეს, რაზედაც ბევრს მეცადინეობენ იქაური მემამულეები თ-ნი ლორთქიფანიძე და მიქელაძეები. ამგვარად „ურიებ-საბეკის“ ბაზარი ჯერ ფეხდაუმაგრებელია.

10 ამ თვეს, ნაშუაღამევს 1 საათზე სოფ. შუაპთაში, სადაც ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებლების და სოფლის სამმართველოს შენობები დგას, ცეცხლი გაუჩნდა დიმიტრი ნაფეტვარიძის პარკის სახმობ ფარდულს, რომელშიაც იყო 400 ფუთამდე პარკი. მთვარიანი, დაწყნარებული ღამე იყო, თორემ მთლად გადაიბუგებოდა სამმართველო-სასწავლებლების შენობა და მოსახლეებიც. ცეცხლი ჩანელდა გათენებისას 4 საათზედ. ზარალი დიდია. როგორც ამბობენ, პარკი დაზღვეული ყოფილა.

ვლადო ბზვანელი.

რუსეთი

— შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი საერობო დებულების დასამატებლად იმ აზრით, რომ გააფართოვოს უფლებანი სამაზრო ერობათა, რომელთაც აქამდე ნება არა ჰქონდათ საგუბერნიო ერობის დაუკითხავად რაიმე შუამდგომლობა აღეძრათ ადგილობრივ მოთხოვნილებათა შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიზრახა მათთვის მეტ უფლებების მინიჭება. ამასთანავე მინისტრს ნება ექნება ზოგიერთ შუამდგომლობათაგანი არ წარუდგინოს მინისტრთა კომიტეტსა და თვით უთხრას მათ უარი, ე. ი., მოიქცეს ისე, როგორც საგუბერნიო ერობათა შესახებ იქცეოდა ხოლმე დღემდე.

— რადგან ახლო მომავალში უნდა განხილულ იქმნას გერმანიასთან დადებული სავაჭრო შეთანხმება, ფინანსთა სამინისტროში მოწვეულია განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც მონაწილეობენ სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენელნი. სხვათა შორის უნდა განიხილონ ის საკითხიც, რომ რუსეთის ვაჭრობასა და ნაოსნობას მეტი შეღავათი მიეცეს გერმანიისაგან, ვიდრე სხვა სახელმწიფოებსა აქვს მინიჭებული.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეიმუშავა ახალი კანონი ნადირობისა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ ერობათაგან ცნობა მიუღია, რომ მათ განუზრახავთ პურის დამბარდების გამართვა, რათა გლეხებს მცირე სარგებლით მისცენ ხოლმე სესხი და ხელი გაუმართონ მათ გაჭირვების დროს.

— სენატმა განმარტა, რომ მათ, რომელნიც დადგენილ ღირებულობის ქონებაზედ საერო გადასახადს იხდიან, სრული უფლება აქვთ საერო არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, მიუხედავად იმისა, საგუბერნიო, თუ სამაზრო ერობის სასარგებლოდ მიდის ეს გადასახადი.

— მთავრობას განუზრახავს სექტემბერში დაწვრილებით დაათვალიეროს ყველა სახელმწიფო რკინის გზები.

— სამუსიკო და წიგნის მაღაზიებში მოსამსახურეთა საურთი-ერთო დამხმარებელი საზოგადოება ამ ჟამად იმ საკითხს იხილავს, რომ დაარსებულ იქმნას პეტერბურგში საზოგადოების მოხუც და უძლურ წევრთათვის უფასო თავშესაფარი.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის კაბინეტში მომხდარ ცვლილებათა შესახებ „Review of Reviews“-ის უკანასკნელ წიგნში რამდენიმე საყურადღებო მენიშვნაა მოყვანილი.

„ლორდ სოლსბერის სამსახურიდგან გასვლით დასრულდა ის ხანა ინგლისის პოლიტიკისა, რომელიც რამდენადმე მოგვაგონებს საფრანგეთის მეორე იმპერიას. რასაკვირველია, ჩვენ სოლსბერსა და ნაპოლეონ მე-III-ს ერთმანეთს არ დავადარებთ, მხოლოდ მმართველობა პირველისა ბევრში ჰგვანდა მეორისას. სოლსბერი იმდენსავე ხანს განაგებდა სამინისტროს და ისეთი შედეგიც ჰქონდა მის გამგეობას, როგორც მეორე იმპერიაში. ეს ხანა იყო— შეჩერება ნაციონალურის განვითარებისა, ღალატი ძველ ნაციონალურ იდეალებისა, შინაურ საქმეთა გაუმჯობესობის მაგიერ, ერის შეცდარ, შოვინისტურ გზაზედ დადგომა. ნაპოლეონ მე-III-მ 200,000,000 გირ. სტერლინგი დაუტოვა ვალად საფრანგეთს; ეს ვალი გახლავთ იმ ომის წყალობა, რომელიც ნაპოლეონმა აუტეხა გერმანიას; წააგო იგი და, რასაკვირველია, ომის მთელი ხარჯებიც საფრანგეთს მოახვიეს თავსა. არც ამაში ჩამორჩა ინგლისის პრემიერი საფრანგეთის მეფეს: სამხრეთ-აფრიკის ომის გამო ნაკლები ხარჯი არ გაუწევია ინგლისს, რომლის ფაქტიური მბრძანებელიც მაშინ სოლსბერი გახლდათ და, მაშასადამე, ომიც მისის მეოხებით იყო დაწყებული. რომ სთქვას კაცმა, ინგლისმაც ისეთი სახელი მოიხვეჭა ამ ომით, როგორიც წინად საფრანგეთმა. პროფესორ ბიგლის დახასიათებით საფრანგეთის მეორე იმპერიის პოლიტიკა ზიზღს იწვევს თავის დესპოტურის ადმინისტრაციით, სამხედრო უძლურებით, ყოველგვარ წინასწარ-აზრებისა და ცრუ-მორწმუნეობის წაქეზებით. სიტყვა-სიტყვით შეიძლება ამ დახასიათების განმეორება ლორდ სოლსბერის რეჟიმის შესახებაცაო— დასძენს ავტორი.

ავსტრია-უნგრეთი. უნგრეთის გაზეთების სიტყვით, ერც-ჰერცოგი იოსებ-ალბერტი, როგორც წარმომადგენელი „უნგრეთის მეფისა“, უნგრეთის სატახტო ქალაქში უნდა გადასახლდეს და სამეფო სასახლეში უნდა იცხოვროს. როგორ ვიცით, ჩეხებიც დიდად მოწადინებულნი არიან, რომ ერთ-ერთი სამეფო საგვარეულოს წევრი პრაგაშიაც დასახლდეს. ასეთს მუდმივს წარმომადგენლობას ის აზრი აქვს, რომ ეხლანდელი მთავრობა უგულებელ არ ჰყოფს ამ ორ არა-გერმანელ ეროვნების ისტორიულსა და პოლიტიკურს მნიშვნელობას.

შვეიცარია. მოკავშირეთა შეერთებულ საბჭოს დაუდგენია, გააძევოს შვეიცარიიდგან შარშან შემოდგომაზედ საფრანგეთიდგან გამოხიზნული ბერებთა 12 ძმობა (ორდენი) და კონგრეგაცია. ეს დადგენილება, როგორც იუწყებიან, ერთხმად მომხდარა. ბერებისათვის 90 დღის ვადა მიუციათ.

ეგვიპტე. გაზ. „Al. Moayad“-ი იუწყება, კაიროში ყოველივე საქმე შესწყდა ხოლერის გამო. ვალებს არავინ იხდის: ზოგი მიტომ, რომ არ შეუძლია, ზოგიც შემთხვევით სარგებლობს. ხოლერის შიშით ბევრი გაიხიზნა ქალაქიდგან და ღვთის ანაბარად მიატოვა თავისი ქონებაო.

სამხრეთ-აფრიკა. როგორც კაპშტადტიდგან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს, სამხრეთ-აფრიკის მრეწველობა და სოციალური ცხოვრება უკიდურესს გაჭირვებაშია თურმე: იოჰანესბურგიდგან მოქალაქენი ცოლ-შვილს ზღვის პირად ჰგზავნიან, რადგან ქალაქად არავითარი სახსარი არ მოეძევებათ თავის რჩენისაო. ლორდ მილნერი, თუმცა დიდის ენერგიით ეკიდება თავის მოვალეობას, მაგრამ მაინც ვერასა ხდება, იმდენად გაჭირვებულს მდგომარეობაშია ხალხი. მოხელეებიც სრულიად უნიჭო და უღიმღამო გამოადგა. მთელს ახალშენში ისე უთავბოლოდ სწარმოებს ყოველივე საქმე, რომ კაცი ვერას გაიგებს ამ ჯოჯოხეთშიო.

— ინგლისურ გაზეთების სიტყვით, გენერალ ბოტას, ლონდონში ყოფნის დროს, დიდი უკმაყოფილობა განუცხადებია იმის გამო, რომ ტრანსვაალის ნაწილს ნატალს უერთებენ; თურმე სწორედ ამ ნაწილში ყოფილა ბოტას ფერმა. იგი იძულებულია ეხლა ან სრულებით გაანებოს თავი ტრანსვაალის საქმეებს, რომელიც მისთვის ესოდენ საყურადღებოა, ან გადასახლდეს იქიდან და მოშორდეს თავის აღმზრდელ აკვანს. ნატალის პრემიერ მინისტრმა ადგილი შესთავაზა ბოტას თავის სამინისტროში, მაგრამ უკანასკნელმა გადაჭრით უარჰყო იგი. „Daily Mail“-ის სიტყვით ბურების გენერლებს განუზრახავთ, იშუამდგომლონ ინგლისის მთავრობის წინაშე, რომ მეტი თანხა იქნას გადადებული ბურების ფერმების აღსადგენად და, გარდა ამისა, ნატალს მიწერილი ტრანსვალის ნაწილი გამოჰყონ და ისევ ტრანსვალს შეუერთონ, მაგრამ მეტად საეჭვოა, რომ რომელიმე ამ შუამდგომლობათაგანი დააკმაყოფილოს ინგლისმაო.

სამეურნეო კომიტეტის ღვაწლიც ჩვენებურ ანდაზასავით დაბოლოვდება: „ტიკებს ალბობდნენ და ღვინო არსად იყოო“... სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს მამულის გარედ გატანა და გაყიდვა სენად დასჩემდა ქართველ თავად-აზნაურობას და ეს სენი ნამდვილ პათოლოგიურ მოვლენად გარდაიქცა. გეგონებათ, ერთი-ერთმანერთს ეჯიბრებიანო, ისრე სისწრაფით იშორებენ თავიდგან ქონებას. ზოგნი ჩალის ფასად ჰყიდიან უზარ-მაზარ საგვარეულო მამულ-დედულს და, თითქო წინაპართა აჩრდილს უფრთხიანო, საზღვარ-გარედ მიეშურებიან. ბორჩალოს უმეტესი ნაწილი გაიყიდა და დანარჩენი დაგირავებულია, კახეთის საუკეთესო მამულები სხვების ხელში გადავიდა. ქართლსაც ეს დღე ადგება. მეტადრე დიდ გვარეულობის ჩამომავალნი იჩენენ თავს ამ არა სასახელო საქმეში. იმათ სხვებიც ჰბაძავენ და ამგვარად ბედოვლათობისა და ფლანგვის სენი საერთოდ მთელ კეთილშობილ წოდებას ეფინება. გიკვირს და გიოცდება, თუ რამ დაუბნია თავად-აზნაურობას ასე თავ-გზა, რომ ვერ ჰხედავს—რა უფსკრულისკენ მიეშურება... ვსთქვათ, არ ესმის, რომ ესეთი საქციელი სამშობლოსა და ქვეყანას ძირს უთხრის და ჰღუპავს. ამ თავის თავისას რაღას ჰფიქრობს?—ულეველი ხომ არაფერია და მამულიც გამოელევა. მერე?.. რა პასუხს აძლევს ცოლსა და შვილს?..

მაინცა და მაინც ისრე სავალალო არ იქნებოდა, „ლუკმა გავარდნილიყო და ჩვენს ჯამში ჩავარდნილიყო“, მაგრამ ასრე როდი გახლავს და, აი სწორედ, რუსების თქმისა არ იყვეს, ძაღლიც აქ მარხია. საქართველოს განსაცდელი სწორედ იმიტომ მოევლინა, რომ მისი მიწა-წყალი სხვის ხელში გადადის. რასაკვირველია, იცით, ვინც არის ეს სხვა, რომელიც ჩვენ მოგვადგა, იმიტომ რომ თავისი დაჰკარგა. ერთის მხრით, ეს ახლად შეძენილი მეზობელი გასამტყუნარი არც-კია. თითონ იმას წაართვეს მამული და ესეც სცდილობს, სხვაგან ბინა გაიჩინოს. გასამტყუნარნი და დასაგმობნიც თითონ ჩვენვე ვართ, რომ მამულისა და ადგილის პატივი არ ვიცით, და ფულის ბნევით და პნევით თავი მოვიჭერით ქვეყანაზედ, შევრცხვით, სახელი გავიტეხეთ, ნდობა დავიკარგეთ. საოცარი და უცნაურია ჩვენის კეთილშობილების ზნე და აზრი: ყველგან ფული „პაწია ღმერთად“ სწამთ, და ჩვენს ბრწყინვალე წოდებას-კი „ხელის ჭუჭყად“ მიაჩნია. ქართველ თავადს ჯიბეში ფული ერთს წუთსაც არ დაუდგება და, თუ მალე არ დახარჯა, ისრე აუყროლდება, თითქო ნიორიაო. აბა რა მამული შერჩება ამისთანა გვამს?—აკი არცა ჰრჩება!..

იქნება პარადოქსადაც ჩამოგვართვან, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ, სამეურნეო თათბირის დროს, უპირატესი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ პათოლოგიურს სენს, რომელიც მხოლოდ ოდნავ აღვნიშნეთ. უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ მამული შერჩეს თავად-აზნაურობას, თორემ, თუ მამული გამოელევა და ცალიერზედ დაჯდება, მაშინ სამეურნეო რეფორმა რაღას უშველის, მაშინ რა ჯანაბად უნდა ირილაცია და ჰაერში სასროლი არტილერია! თუმცა ამ ბოლოს დროს მამულის გაყიდვამ მეტად ფეხი აიდგა, მაგრამ შეიძლება საქმეს ეშველოს და ეს სენი თავად-აზნაურობას თავიდგან მოშორდეს. სოციალურ პატალოგიაში თითოეულ ავადობას თავისი მიზეზი და წამალი აქვს და, ამაოდ ჰგონიათ ჩვენებურს ცრუ სოციოლოგებს, რომ კაპიტალიზმი თავისას იზამს და თავად-აზნაურობას ხელს დააბანინებს მამულზედ. არა და არა! რამოდენი ხანია, რაც ეს კაპიტალიზმი ნავარდობს ევროპაში, მაგრამ მემამულე, **აგრარი** ბურჯივით მაგრად სდგას. ევროპიელი კეთილშობილი აგრარი განაძლიერა და განამტკიცა უფრო გონებრივმა და ზნეობრივმა განათლებამ. შემდეგ ამას აგრონომიული პროგრესიც ზედ დაერთო. რასაკვირველია, უმაღლესმა მთავრობამაც, სხვა-და-სხვა კანონის დადგენითა, ხელი შეუწყო აგრარიებს. ჩვენმა თავად-აზნაურმა ყოველივე ეს სახელმძღვანელოდ უნდა იქონიოს და დაუყოვნებლივ შეუდგეს საქმეს. სენის განსაკურნებლად გზა და ხსნა მრავალია და კეთილშობილი წოდება სასოწარკვეთილებას არ უნდა მიეცეს. მართალია, მეზობელნი გვიკიჟინებენ—სიზარმაცე და ქეიფის აყოლა თქვენი უკურნელი სენიაო, მაგრამ, თუ კაცნი ვართ და ქუდი გვხურავს, მოკიჟინეებს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ეს სენიც გაიკურნება...

გატეხილს მოგახსენებთ, მართალს-კი ამბობენ, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას სიზარმაცე და უაზროდ დროს გატარება ძვალსა და რბილში გასჯდომია, მეორე ბუნებად გარდაჰქცევია. ყველგან, სადაც ცხოვრება გონივრულად მიმდინარეობს, მცნებად მიუღია— „დრო ფულიაო“. ჩვენში დროს რა ფასი ექმნება, როცა თვით ფული ხელის ჭუჭყად ცნობილია! მეტადრე ჩვენი კეთილშობილი ახალგაზდობა აოცებს გარეშე მაყურებელს. ასე ზნე დაცემული და აზრ-დაბნეული ახალგაზდობა არც ერთს სხვა მეზობელ ხალხს არ მოეპოვება. ამ ახალგაზდობას მხოლოდ ლოთობა და ქეიფი გაუხდია კერპად. ხშირად შეხვდებით, რომ ამ პაპანაქება სიცხეში ქალაქად მორბის და ვერისა და ორთაჭალის ბაღებში ფლანგავს რის ვაი-ვაგლახით ნაშოვნ ფულს, თითქო სოფელში კი ჩრდილი არ იყვეს და იქ ქეიფი არ სჯობდეს!.. როცა სოფლად არის, მაშინ ხომ, ოფლის ღვრის დროს, კაკალ ქვეშ წამოწოლილა და მარტო ლაზღანდარაობს. ქვეყანას ვინდა სჩივის, ასე გასინჯეთ, საკუთარ სოფლის ავი და კარგიც-კი იმისთვის არ არსებობს. წინად კეთილშობილი ახალგაზდობა ზოგიერთ მარგს და სასიამოვნო დროს გატარებას მაინც მისდევდა. მაგალითებრ, მაშინ ხშირი იყო ნადირობა. ახლა-კი ეს ჩვეულებაც გადავარდა. აწინდელი ახალგაზდა თავადი იმას ამჯობინებს, რომ თავისს მეზობელს ქათამი მოუკლას და იმით ისადილოს, ვიდრე თოფი ხელში აიღოს და ინადიროს. მაგრამ, ვაი ამ იარაღის აღებასაც! რამდენჯერ მომხდარა, სადილზედ, სულ უბრალო უსიამოვნების გამო, რევოლვერები უძვრიათ და ტკაცა-ტკუცი აუყენებიათ, ხანჯლები აუპრიალებიათ! ჩვენ თითონ გვეთაკილება ამ საზარელ სურათს ბოლომდე ჩავყვეთ და თავს ვანებებთ.

სამეურნეო კომიტეტმა რაც უნდა საუკეთესო ღონისძიებას და საშუალებას მიაგნოს სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, მაინც თავად-აზნაურობას მამული არ შერჩება, თუ მისი გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობაც ძირიანად არ შეიცვალა და არ გაუმჯობესდა. თუ ყველგან არა, ზემო ქართლში მაინც ახალგაზდობა ისრე გალატაკებულია გონებით და ზნით, რომ მამული თუნდ ედემად გარდაუქციოთ, მაინც მოკლე ხანში გააავერანებს და მერე კიდეც „გააპრადალებს“. რამოდენი აყვავებული მამული აოხრდა და დაიქცა ამ ახალგაზდობის წყალობით! თავად აზნაურობამ ეს ჩვენზედ კარგად უწყის. მაშასადამე, ჩვენი სამეურნეო კამიტეტის მოღვაწეობას თან უნდა ახლდეს ორი საგანიც: თავად აზნაურობამ უნდა იზრუნოს ა) მამული ხელიდგან არ წაუვიდეს და ბ) ახალთაობა გონებრივ და ზნეობრივ ამაღლდეს. თორემ ცალიერი აგრარიული და აგრონომიული რეფორმა არა კმარა, ჩვენთვის მაინც...

გულზედ ცეცხლი გვეკიდება, როცა ვხედავთ, თუ როგორ ეკარგება თავად-აზნაურობას მამა-პაპეული მამული და სხვის ხელში გადადის. ამ ცეცხლს ზედ ალი ემატება, როცა ახლანდელ ახალგაზდობის ყოფა-ცხოვრებას ვაკვირდებით; თითქო უსასოება გვენერგებაო. მაგრამ ვიმეორებთ, ჩვენს მაღალ წოდებას მარჯვე დრო დაუდგა—სამშობლოსაც არგოს და თითონაც ირგოს. უეჭველია ზოგი ინტელიგენტი, ჩვეულებისამებრ, „ფეოდალობას“ გვიკიჟინებს. ჩვენში კუდა-ბზიკა ლიბერალობა ხომ გახშირებულია! რაც უნდა სთქვან, „ივერია“ თავისს დროშას არ უღალატებს და ყველასათვის ერთნაირად იზრუნავს.

Plebs.

სხვა-და-სხვა წერილები

მდუმარე მოძღვარს პასუხად*).

„ივერიის“ № 130-ში მღ. კარბელაშვილი სწერდა: „ამა ივნისის 19 საეკკლ. მუზ. კომიტ. კრებაზედ ჟანაშვილმა გამოაცხადა, რომ ხახანაშვილმა ვერ გამოსცა „ბალავარ და იოდასაფი“ ჯეროვნად, რადგან ტფილისიდგან სწორედ გადაწერილი პირი ვერ გაუგზავნესო“.

ეს რომ წავიკითხე, გავოცდი, რადგან ხსენებულს კრებაზედ ამისთანა მე არა თუ არ მეთქვა, არც მსმენოდა. ამიტომაც საპასუხო წერილში (№ 132) დავწერე: „კრება რომ გათავდა, ყველანი აიშალნენ და ზოგნი წავიდ-წამოვიდნენ, კარბელაშვილს, მისს შემოკითხვაზე, ვუთხარ: ბალავარ და იოდასაფ“-ში ოცამდე შეცდომაა. შეადარე პალეოგრაფიული ტაბულა დაბეჭდილთან“.

მე მაშინ მეგონა, კარბელაშვილი, შეადარებსრა, დაკმაყოფილდება, რადგანაც ჩემი ნათქვამი შეცდომების შესახებ სრული სიმართლე იყო. გარნა შევცდით. მიუხედავად ჩემის მოლოდინისა და წინააღმდეგ 19 ივნისის მუზეუმის კომიტეტის კრების წევრების სურვილისა, რომ კრებაზედ ნალაპარაკევი და, საზოგადოდ, მუზეუმის შესახები ამბები საყვირალოდ არავინ მოიხმაროს, ვიმეორებთ, მიუხედავად ყველა ამისა კარბელაშვილმა მესამე დღესვე ამის შემდეგ ასტეხა ერთი განგაში და, რომ უფრო მეტი რიხი მიეცა თავის განგაშისათვის, მეორე საპასუხო წერილში (№ 169) მოიწვია შემწედ ისეთი კაცები, რომლებთანაც მე ოდესმე პოლემიკა (წარმოიდგინეთ!) მქონია.

საიდგან სადაო, წმინდაო საბაო! მერე რაო! მე არა თუ კარბელაშვილის-მიერ ჩამოთვლილებთან მქონია კამათი, არამედ ბევრ სხვებთანაც, მოსაწონი (რასაკვირველია, ჩემის შეხედულობით) მომწონია, დასაწუნი—დამიწუნია, და დამიწუნია არა ცარიელის სიტყვით, არამედ მაგალითების ჩამოთვლით, აღნუსხვით ყოველ ნაკლულევანებათა, რაც კი ისე თუ ისე ამახინჯებდა ძველს ტექსტს. მითხარით, მკითხველო, აქ რა მეზრახება მე, როდესაც ტექსტის აღსადგენად არ ვიშურებდი არა თუ ჩემს შრომას, არამედ, ხშირად, საფასსაც.

ჩემთვის ბევრი ავი სიტყვა უკადრებიათ, „მამაცხონდათი“ მოკიდებული „გამოთაყვანებულამდე“ და მიუხედავად ყველა ამისა არც ერთს, რომელსაც შევკამათებოდი, მტრად არ გადავკიდებივარ; ვინც მიქია, მათ დღესაც ვქებ, რაც დამიწუნია, მას დღესაც ვიწუნებ. მარტო კარბელაშვილს თუ არ ესმის, რომ თვით ფრიად სახელოვანს კაცსაც ყოველთვის დუმაში არ მოუვა, ყოველივე, რასაც დასწერს, სახოტბო არ იქმნება.

დიახ, ვიმეორებ, 19 ივნისის კრების გათავების შემდეგ ხ—ის წიგნის შესახებ მე იმის მეტი არ მითქვამს, რაც იძულებული ვიყავ მეთქვა კარბელაშვილის შემოკითხვაზე. ამასვე დღეს აღიარებს თვით კარბელაშვილიც, როდესაც არა მე, არამედ სხვას პირში უდებს ამ სიტყვებს: „მეხლა მითხრეს, რომ აქედგან გაუგზავნიათ (ეპ. კირიონს და შენ) მოსკოვს შეცდომებით სავსე გადაწერილი «ბალავარ და იოდასაფი» და შეცდომაში შეგიყვანიათ ხ—ძიო».

წინა წერილში (№ 130) ამ, ვითომ, კრებაზე ნათქვამს სიტყვებს მე მაწერდა და ახლა სხვას. რატომ, კ—ლო, მაშინვე ეს სიტყვები იმ სხვას არ მიაწერეთ, და რად მოიგონეთ და მომაწერეთ მე ის, რაც კრებაზედ არ მითქვამს და ვერც ვიტყოდი, თუნდაც მნდომებოდა: ჟამაგირის დანიშნაზედ რომ ჩამოვარდა ბაასი, მთხოვეს კრებისთვის თავი დამენებებინა და, თითქმის, ნახევარი საათი კრების გარეშე, სიონის ეზოში, დავყავ. ამ დროს რა ილაპარაკეს, რა მოჰხდა, მე ეს არავისთვის მიკითხავს და, თუ ამ დროს ვინმე კ—ლს მოახსენა ზემორე აღნიშნული სიტყვები, ეს მე არ ვიცი.

კარბელაშვილი ამბობს: ერთმა ორმა სხვამაც მითხრა ჟანაშვილის განდობილიო, ე. ი. რომ „ბალავარ და იოდასაფი“ შეცდომით დაიბეჭდაო.

მერე ამით რა დაშავდა, კარბელაშვილო? მე ხომ პირველსავე საპასუხო წერილში გამოვაცხადე: „ჩანს, სხვა წყაროდგან შეუტყვია მ. კარბელაშვილს ის, რაც მხოლოდ ეიფშიძეს განვუზიარე. და ეს წყაროები-კი დაიბადებოდნენ მხოლოდ 18 და 19 ივნისს» (№ 132).

მე რომ მეგობრულად მოსულს, თუ შეხვედრილს ჩემი საიდუმლო (თუმცა, ღვთის წინაშე, დასამალავი აქ არა რა იყო!) განვუზიარო, ნუ-თუ არ უნდა ვიყვე დარწმუნებული, რომ საიდუმლო საიდუმლოდ დარჩება და არა უმალვე, გაზეთადქცეულის სახით, საქვეყნოდ გახდება, გადაეცემა-რა ვისმე, დუმილით განთქმულს!

მართალი ხართ, მამაო კარბელაშვილო! მე აქამდის არ მცოდნია, რომ კედლებსაც ყურები აბია, სიფრთხილე საჭიროა, მეგობართანაც დუმილით უნდა იყვე, პირი მოიკუმო, შენი კეთილი განზრახვა არავის უნდა ანდო, რომ მადლის მაგიერ; მტრულად არ გადაგექცეს ეგ კეთილი განზრახვა. კვლავისათვის ამას დავიხსომებ და დუმილს აღარ დავარღვევ.

კარბელაშვილი ჩემს მცირე ნაშრომსაც იწუნებს და, თითქმის, არაფრად აგდებს. მე რომ ჩექა-ქუხილი დავატეხე ჟანაშვილის კატალოგებს, განაბა სულით. კრინტს როგორ დავძრავდი კ—ლო, თქვენისთანა დევ-გმირ მსაჯულის წინაშე, როდესაც ჩემს მცირე ნაშრომს (მუზეუმში, რასაკვირველია) უფრო უკეთესი დამფასებლები ჰყავს:— უ-დ სამღვდელო ლეონიდი, რომელსაც ამ შრომისთვის არა ერთ-გზის მადლობით დაუჯილდოვებივარ, უ-დ სამღვდელო კირიონი, რომელმაც, მუზეუმის კრების დადგენილების თანახმად, ორდენი გამომითხოვა, წევრი მუზეუმის კომიტეტისა ა. ი. ნატროშვილი, რომელიც ჩემს მანდაურს შრომას „ეგვიპტურ საქმეს“ ადარებდა, ა. ს. ხახანაშვილი, რომლის მოხსენების გამო ერთხმად არჩეულ ვიქმენ წევრად მოსკოვის საიმპ. საარქ. საზოგადოებისა. გარნა—კმარა. ჯერ ამასაც კვეხნაში ჩამოგვართმევს ჩვენი მართლ-მოყვარე კრიტიკოსი!

სწორედ სასაცილოა, როდესაც კარბელაშვილი სწერს: „ჟანაშვილმა სიცრუით სავსე წერილით, მიპასუხაო“. („ივ.“ № 169). მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რა სიცრუე დამიწერია. კრებაზე თქვაო· არ მითქვამს, ცილს მწამებსო, ხახანაშვილის მოტყუებას მაბრალებსო. ნუ იყოფინ! მე არსად არ მითქვამს გადაჭრით, რომ კ—ლმა შეცდომაში შეიყვანაო. ალბად აქედგან გაგზავნილს დაენდო მეთქი. (ღრმად პატივცემულ უ-დ ს—ლო კ—ნის სახელი ხომ, რაღა თქმა და ფიცი უნდა, მე არსად წამომცდენია). თუ გნებავთ, თვით პ. კარბელაშვილივე სწამებს ცილს პ. კარბელაშვილს:

პირველს წერილში (№ 130) იგი სწერდა: „რადგან ერთის მხრივ ბრალი მე მედება ამ საქმეში (ე. ი. „ბალავარ და იოდასაფის“ გამოცემაში) უმორჩილესად ვსთხოვ ჟანაშვილს, გვიჩვენოს ის 20-ზე მეტი შეცდომა, რომელიც ამახინჯებს ხ—ის წიგნს.“ მეც ვუჩვენე ამ შეცდომებს წინად თუ ვერ ამჩნევდა, ახლა-კი შეამჩნია და კორექტურულად აღიარა და თანაც დასძინა: „რის წაკითხვასაც ჟანაშვილი შეიძლებს, მისი წაკითხვა უფრო ადვილი იქნება სხვებისთვისო“. ოღონდაც! ჩვენც ვიცოდით, მამაო კ—ლო, რომ ჩვენზე კარგი მკითხველი ბრძანდებით და ამიტომ წინა-წერილშივე (№ 132) გაკვირვებით ვიკითხეთ: „რა აზრი აქვს კარბელაშვილის ვითომდა ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას, თუ არა ის, რომ წაგვჩხუბოს ორი მეგობარი კაცი? განა საკმაო არ იყო, ტაბულა დაბეჭდილთან შეედარებინა, დარწმუნებულიყო ჩემი ნათქვამის სინამდვილეში და, თუ თვითონ იყო დამნაშავე, ბოდიში მოეხადა მეცნიერის წინაშე და კვლავ აღარ გაებედნა ვისიმე მოცრუება“.

ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა კარბელაშვილისადმი. მოცალეობა და ჯანის სიმრთელე ნებას არ მაძლევს, რომ მდუმარე კაცების დუმილს სამარის კარამდე ვსდიო.

მ. ჟანაშვილი.

---

*) ვბეჭდავთ ბ-ნ. მ. ჟანაშვილის წერილს და ვსპობთ ამით პოლემიკას, რადგან აღძრული საბაასო კითხვა სრულიად გამოირკვა. რედ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 აგვისტო

ვარშავა. დღეს დაასაფლავეს ქალაქ ვარშავის პრეზიდენტად ყოფილი გენერალი სტარინკევიჩი. ადგილობრივმა გაზეთებმა საერთოდ დაბეჭდეს წერილები, და ჩამოთვალეს განსვენებულის დამსახურებანი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ჩაის მოვაჭრე ფირმები საიარმუკო კომიტეტის მეოხებით შუამდგომლობენ, რომ არ გადახდესთ დამატებითი ბაჟი იმ ჩაიზე, რომელიც უკვე გამოგზავნილია რუსეთში ვლადივოსტოკის ნიკოლაევსკის და კიახტის დამოჟნებზედ.

კრონბერგი. საბერძნეთის მემკვიდრე პრინცი მეუღლითურ წაბრძანდა ბერლინს, საიდგან გაემართებიან პეტერბურგს მეფის ძის ნიკოლოზის ქორწინებაზედ დასასწრებლად.

კოპენჰაგენი. საბერძნეთის პრინცებმა გიორგიმ და ანდრიამ გედესის გზით რუსეთს გაიარეს.

პეტროზავოდსკი. ნება დართულია, გაიმართოს საზოგადო ბანკი. ფინანსთა სამინისტრომ მისცა 25,000 მანათი ძირითად თანხის შესადგენად.

პეტერბურგი. კანონდებათა კრებულში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება: 1) შესახებ სარგებლის გამონგარიშების წესის შეცვლისა სახელმწიფო ბანკებთან დაარსებულ შემნახველ კასების თანხებზედ.—2) გარდასახადთა ინსპექტორების რიცხვის გამრავლების შესახებ. 3) შესახებ სათავად-აზნაურო საქმეთა კანცელარიის დაარსებისა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

პეტერბურგი. 10 აგვისტოს, ღამე თავის მამულს სტრჟალკოვოში, ნოვორადომსკის ახლოს, გარდაიცვალა მხატვრობის პროფესორი ჰენრიხ სემირადსკი.

14 აგვისტო.

კრასნოიარსკი. მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი.

სოფია. 70 კაცის ბრბომ სცადა საზღვარს გადასულიყო, მართველობამ გაგზავნა მდევარი, რომელმაც ვიტოშის მთებში დაიჭირა 61 კაცი, დროშით.

ლონდონი. რა მოვიდა კალეს, შაჰმა დეპეშით გადაუხადა მადლობა მეფეს გულითადის მიღებისათვის და დასძინა, რომ მისი ინგლისში ყოფნა წარუხოცველ სახსოვრად დარჩება მისთვის.

უფა. საქონლის მოშენების საგუბერნიო გამოფენა გადაიდო სამერმისოდ, რადგან ხუზარა გაჩნდა.

გაგრა. დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის-ძემ ინახულა გაგრის კლიმატიური სადგური და დაწვრილებით დაათვალიერა სასტუმროს შენობა. ჯავშნიანი გემი როსტისლავი წავიდა დღეს ტუაპსესა და ნოვოროსისკს.

პეტერბურგი. გამოცხადებულია ცერემონიალი დიდის მთავრინასი ელენე ვლადიმერის ასულის და საბერძნეთის მეფის ძის ნიკოლოზის დაქორწინებისა.

„Правит. Вѣст“.-ში გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტები: დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის მიმართ, უმაღლესის მადლობის გამოცხადებით დამთავრებულის მანევრების გამო, და გენერალ-ადიუტანტის კაზნაკოვის მიმართ უმაღლესის წყალობის გამოცხადებით 50 წლის სამსახურისათვის.

8—12 აგვისტოს ცნობისამებრ ახლად ხოლერა აზიის რუსეთში არ შემოუტანიათ გარდა 10-ს აგვისტოს აღმოჩენილ 4-ის ავადმყოფისა პიაკალის გემებზედ და, ამას გარდა საეჭვოდ დარჩა ერთის ავადმყოფის სიკვდილის მიზეზი, რომელიც ჩელიაბინის ახლო მოკვდა. იმ ადგილებში, სადაც უწინ იჩინა ხოლერამ თავი, სენი სცხრება: ბლაგოვეშჩენსკში 6—10 აგვისტომდე ავად გახდა—36, მოკვდა—24; პორტ-არტურში 26 ივლისიდგან 3 აგვისტომდე ავად გახდა 35, მოკვდა—19; დალნიში 20 ივლისიდგან 2 აგვისტომდე ავად გახდა 23, მოკვდა—8; ხაბაროვსკში ავადმყოფთა რიცხვმა იკლო. ვლადივოსტოკში 25 ივლისიდგან 5 აგვისტომდე ავად გახდა 24, მოკვდა —14; მანჯურიაში სენი მცირდება; ადესაში 8 აგვისტოს მოკვდა საეჭვო ავადმყოფობისაგან— ერთი დედაკაცი.

პეტერბურგის ბირჟა, 9 აგვისტო.

ვექსილის კურსი 13 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	46,55
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27 1/2
პარიჟში ,,	37,62 1/2
ბირჟის დისკონტი	4 1/2—6 1/2 %
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	463 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	352 1/2 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288 1/4 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9675 გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4350 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	180 წვ. გაყ.

განცხადება



Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Духи Трефль“

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—9)

საბჭო დედათა სასწავლებლისა

მცხეთის დედათა მონასტერთან აცხადებს, რომ ოთხ ნორმალურ და სამს მოსამზადებელის კლასის განყოფილებებში და პანსიონში არის თავისუფალი ვაკანსიები მოწაფეთათვის. სასწავლებელში შესვლის მსურველთ შეუძლიანთ თხოვნებით მიმართონ სასწავლებლის საბჭოს და მასთან წარადგინონ მოწმობები: მეტრიკული და ყვავილის აცრისა. ფასი ნახევარ წლობით წინდაწინ, (შესანახი წელიწადში 120 მან.) სწავლისა, (правоученіе) 20 მან. და პირველ მოსამზადებელი 20 მან. გარე შეგირდებმა უნდა იცხოვრონ მშობლების ნაცნობებთან, ან ვისთანაც მთავრობა ურჩევს. მისაღები ეგზამენები დანიშნულია პირველ ენკენისთვეს. ადრესი: Станція Мцхетъ. (Тиф. губ.) Совѣту женскаго училища при монастырѣ.

თავმჯდომარე საბჭოსი იგუმენია ნინო.

(2—2)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით.** 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და დერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს,** ტფილისს.

(24—361—17)

საბუხგალტერო კლასები

დაარს. **ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.**

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცენოლო, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენჯერი,** ინჟ. გ. ი. **დიუგოვი,** იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი,** დამსახ. პრ. **ლევიცკი,** მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიოფენი, ი. ფ. გრუმლიკი,** ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—8)

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოკვლევამდე-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (**კორესპონდენცია**). 4) **საველილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება ხუდ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—19)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.